საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. შთაბეჭდილების ორგანო

სოციალისტ-ფედერალისტი

ხუთშაბათი ივნისის 9

1921 წ.

ფასი 200 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გრიშაშვილის საღამოა

დაკარგულია

დაკარგულია ბრიგადი (გრიშა) პეტრეს ძე კეკელია. ერთი წელიწადი სრულდება რაც სამუშაოდ წავიდა და არაკითარი ცნობა არა გვაქვს და თუ ვინმე რამე იცით შეგვატყობინეთ. მისამართი მეჯრანის ქ. № 7 ალექსანდრ ლაზიაშვილს. 1075

გულდამწვარი მშობლები აცვინტი იასონასძე და ანნა ერასტოს ასული და ლოლა ბებია ეკა მეგრელაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს ივნისის 11 დიდებულის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის ძვირფას და დაუვიწყარი

მიშიკოს (მიხაილის) აკვსენტისძე მეგრელაძის

სულის მოსახსენებლად 1117

ევგენია ივანეს ასული და ბიხეილ გაბრელის ძე ორჯონიკიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ სყვარელი და ძვირფასი დეიდაშვილის

თამარ (ელენე) ეანჩავლის

გარდაცვალებას, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე (თუმანოვის შესახვევი № 3) დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 112[illegible]

მეუღლე ლეონ რევაზის ძე ყანჩელი, მამა ლევანდრე, დედა ბარბარე და ძმა გიორგი მოსხელიშვილები და მამამთილი რევაზი განუსაზღვრელ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას

მათთვის მეტად ძვირფასის და დაუვიწყარი

თამარ (ელენე) ეანჩელიასას

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ბინაზე, თუმანოვს შესახვევი № 3 დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1120.

კბილის ექიმი

აპოლონ შრუმაძემ

განაახლა ავადმყოფების მიღება 9—1 ს. და 4—7 ს.

ბებუთოვის ქუჩა 13 ბინა 1. 29

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურად სიფილისი (914 ტ 606) სქესობრივი უძლურება, ვენერიული ხუსუნათა და შედეგები.

ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის მქრობელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

ძ. ლანჩხუთში.

ექიმი

ოლღა ხოფერია

იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფებს.

კალისტე ჩაჩავას სახლში. 1047

გადამწყვეტი ფაქტორი

დღესაც დღევანდელ საერთაშორისო ძალთა ჭიდილზე ჩამოვაგდებთ ლაპარაკს და აღვნიშნავთ მთავარს დერძს თანამედროვე საკაცობრიო ბრძოლაში, რომელსაც ეკონომიური ფაქტორი ეწოდება, გვეუბნებიან მარქსისტები ხართ, ეკონომიური მატერიალიზმის მთავარ დებულებას იზიარებთო.

მარქსიზმი ხომ ამბობს, რომ ყოველივე შინაარსი კაცობრიულ ცხოვრებისა ეტევა ეკონომიური ჩარჩოში და მისგან გამომდინარეობს.

დღეს „სოც.-ფედერალისტი" თანამშრომელნი ბოლშევიკებთან ერთად იზიარებთ რა საერთაშორისო რევოლიუციის ორიენტაციას, და მის მიზნად ასახელებთ რა ეკონომიურ ფაქტორს—ბრძოლას კაპიტალისა და შრომის შორის ამით თქვენ მარქსის პოსტულატების ზემდებად იქცევითო.

მართალია და ჭეშმარიტებას შეესაბამება ეს?

რადა თქმა უნდა არა და ი რატომ. სხვა და სხვა ეპოქაში სხვა და სხვა დროს განსაკუთრებული პირობანი იქმნება, რომლის თანახმად წარიმართება ქვეყნის განვითარება და მოვლენათა სრბოლა. გარკვეულ კაპიტალიზმში ისხმება.

ვის არ წაუკითხავს სარწმუნოების ომები? ვინ არ იცის ჯვაროსნული ომები, ვის არ ახსოვს ბართლომეს ღამის საშინელება, ან იოჰან ჰუსის დაწვა და სხვა. ულმობელობანი რელიგიური ომებისა? მართალია ამ პერიოდშიც მოქმედებდნენ სხვა ფაქტორნი და მათ შორის ეკონომიური ურთიერთობაზე აგებული საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება; მაგრამ ომს, მოძრაობას სახელმწიფოში და მის გარეთ უფრო ხშირად განაგებდა რელიგიური ფანატიზმი და ხშირად რელიგიური ბრძოლა აღმოცენებული ომის შედეგად სახელმწიფოთა შორის იქმნებოდა გარკვეული ეკონომიური ურთიერთობა

თავის დროზე განსაკუთრებულ პირობებში ერთგვარი როლი ითამაშა სხვა მრავალმა ფაქტორებმაც: ხალხთა გამრავლებამ, ტრადიციებმა, ზნე ჩვეულებებმა, ნაციონალურმა საკითხმ. და სხვ. და სხვ.

მაგრამ სხვ. და სხვ. დროს რომელიმე ამ ფაქტორს სხვა და სხვა პოტენცია გაუშლია, სხვ. და სხვა გვარი ძლიერება გამოუჩენია.

დღეს კი ვინ იტყვის, რომ ეკონომიური ფაქტორის პირველობას არ განიცდის კაცობრიობა მთელი სიმწვავით?

ვის შეუძლია სთქვას, რომ ყოველი ადამიანი ეკონომიური კრიზისის შედეგს ყველაზე გადამწყვეტ როლს არ აკუთვნებს.

ამას იტყვის სოფლის წვრილი მესაკუთრე გლეხი, ამას დაადასტურებს ქალაქის მუშა, ამას დაადასტურებს მარქსიზმის მტერი ინგლისელი ლორდი ან ამერიკელი ბურჟუა.

და ახა, ვის უფიქრია ამ სოციალური კატეგორიების მარქსისტობაზე, ან ვის დაუწამებია მათთვის ეკონომიური მატერიალიზმის მიმდევრობა?

არავის, არცერთს ეკუთვნოდ-მყოფელს ამის თქმა არ შეუძლია.

მაშ რად გვახვევენ თავს ჩვენთვის მიუღებელ საფუძვლებს?

განა დღესაც სოციალისტური არა მარქსისტული მიმდინარეობანი არ იზიარებენ საერთაშორისო რევოლიუციის ორიენტაციას? მერე ამით ეს პარტიები და ჯგუფები მარქსისტებად იქცევიან? რადა თქმა უნდა არა. სინდიკალისტების მაბრობა ამ მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციაში ხომ მაშინ გაუგებრობა იქნებოდა? რადა თქმა უნდა არა.

დღევანდელ აზიურ კოლონიებისა და სხვა მრავალ პატარა ერთა მოძრაობაც ხომ ეკონომიურ საფუძვლებზეა დამყარებული? ეკონომიურად ჩაგრულ ერებს ურთ დაამსხვრიონ ეს მონობის ბორკილები, მაშინ, როცა ამისთვის სათანადო პირობები შექმნა საერთაშორისო ეკონომიურმა კრიზისმა; ამიტომ აღმოსავლეთის ერთა მოძრაობა ინგლისაფრანგეთის, წინააღმდეგ არის იმავე დროს ეკონომიური მოძრაობაც. მაგრამ ვის უთქვამს რომ ინდოეთი მარქსისტულია, ეგვიპეტი, მესოპოტამია და სხვა ქვეყნები ეკონომიურ მატერიალიზმის მიმდევრებია.

თქმა იმისა, რომ დღეს ეკონომიურ ფაქტორებს გადამწყვეტი როლი აქვს არ ნიშნავს მარქსისტულ აზროვნებას, ისე როგორც რელიგიური მოძრაობა არ ამტკიცებს უკიდურესი იდეალიზმის სარწმულს ისტორიის პროცესისა.

ამიტომ ჩვენ საბუთი გვაქვს ვსთქვათ: ჩვენ ვსცნობთ მთავარ დერძთ საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციისა ეკონომიურ ფაქტორს და არცა ვართ მხოლოდ ამიტომ მარქსისტები.

ეფ. ჩახუნაშვილი.

აფხაზეთში.

ხოხუმი ივნისის 8. (მშრომელთა ყრილობა.

ნაციონალურ საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა აფხაზეთის რევკომის წევრი, სამხედრო სახალხო კომისარი ლაკობა. მოხსენების მიხედვით მიღებულ იქნა რეზოლიუცია: 1 მეფურ მთავრობისადმი მიბაძვით, რუსეთის ბურჟუაზიული მთავრობა მილიუკოვის ტ კერენსკის მეთაურობით განაგრძობდა უფილ რუ ეთის იმპერიის მკვიდრეობანებათა ბიერას. 2. როდესაც რუსეთის ცენტრში ოქტომბრის რევოლიუციამ გაიმარჯვა განაპირებში დაიწყო გამაგრება სანაპროპოლიტიკა, ერთა ეროვნულ გრძნობის ბოხერხებულ თამაშის მეოხებით. ბურჟუაზიამ ეროვნული მოძრაობის საშვალებით, შეჰქმნა რიგი მოსაზღვრე სახელმწიფოებისა, რომლებიც სავსებით დამოკიდებულნი იყვნენ მთელი ქვეყნის იმპერიალისტებისაგან 3. დაჩაგრულ ეროვნებათა მუშა-გლეხებმა შეიგნეს თავისი ინტერესები და პროლეტარულ რუსეთის დახმარებით შეჰქმნეს მთელი წყება ნამდვილ დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებისა. შემდეგი ნაბიჯი იქნება მეტადრო კავშირი ყველა ერთა გაერთიანებულ მუშურ-გლეხურ მეურნეობა საბჭოთა ფედერაციაში. გამოვდიგართ რა ამ თვალსაზრისიდან აფხაზეთის მშრომელთა ყრილობა გამოსთქვამს მტკიცე ნებისყოფას ყველა საბჭოთა რესპუბლიკების უადრესად მჭიდრო კავშირს და მშრომელთა ძმობის დასამყარებლად აფხაზეთში და ახლო კულტურულ ეკონომიურ მდგომარეობით დახლოვებას საბჭოთა საქართველოს მუშა გლეხთა ყოფა ცხოვრებასთან, რომელიც შეჰქმნის ორ ერთა მშრომელ ნაწილის მჭიდრო კავშირს. გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა ძმურ კავშირს.

პატარა განცხადება

(წარილი რედაქციის მიმართ).

ჩემს წინადადებაზე ბ. თეოდო ლონინის უშვერი, გაუგონარი ლანძღვა-გინებით გამოსვლა რომ მოუფიქრებელი, ფიდად უკულტურო და ანტი-საზოგადოებრივი იყო,—ეს მას თვითონვე უგრძვნია დღეს, რადგან ათასჯერ ბოდიშს იხდის საზოგადოების წინაშე ნათქვამი სალანძღავი სიტყვებისათვის.

ახლა, რაკი, ჩემდა სასიამოვნოდ მან მოუსურვებია, დეე პირუთვნელმა საზოგადოებრივმა სასამართლომ დასდოს, მსჯავრი იმას, რაც ასე უფორიაქებს სიხიდილს ბ. თეოდო ლონტს.

ჩემი მხრით მედიატორეებად ვასახელებ პეტრე ივანეს ძეს ქავთარაძეს და ივანე მიხეილისძეს ჯაფარიძეს.

ა. ხაუგარიდაძე.

ახალი ამბები

— **გრიშაშვილის ხალამო.** დღეს, ხუთშაბათს, ცხრა ივნისს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება პოეტ-გრიშაშვილის ტრადიციული საღამო.

— **ითხუთ იმედაშვილმა.** დასწერა ახალი პიესები: „დაძის წყვდიადში", 1 მოქ., „რევოლიუციის ჩარხზე", 3 მოქ., „ვერ მოიხარეს!" 2 მოქ., „ბრძოლის ცეცხლში", 1 მოქ. „სჯულიდან გამდგარი" (კონსტანტინე ბატონიშვილისა და ქეთევანის ცხოვრ.), და „აკერას დაბრუნებული ანუ სხვისი დროშით" (ბაგრატ დადის ხანიდან). ამ ექვამდე სწერს დრამას „მურვან ყარუ"-ს და რომანს „თვით დამარცხება"-ს.

— **ხალხმწიფო ოპერა.** პარასკევს 10 ივნისს სახელმწიფო ოპერის თეატრში ოცდა მეხუთე ჯერ და უკანასკნელად ამ სეზონში ადეიმკოს, ხარაჯიშვილის და სხვა საუკეთესო ძალთა მონაწილეობით გაიმართება, ქართული ოპერა „დალატი". ეს წარმოდგენა ფასიანია და ბილეთები ყველა მოქალაქეთათვის იყიდება თეატრის კასაში.

— **ბერძნების გამგზავრება ხამშიბდოში.** მაისის 29-ის, რევკომის პლენარულ სხდომაზე გადარჩიეს საქართველოს მოსახლე ბერძნების რწმუნებულთა შუამდგომლობა. ბერძნები თხოულობენ სამშოჭლოში დაბრუნების ნებართვას. რევკომმა შუამდგომლობა დააკმაყოფილა და მათი ევაკუაციის საქმე საერთო წესით მიანდო ცენტრალურ საევაკუაციო განყოფილებას.

— **დახმარება ხელოვან მოღვაწეთა.** მაისის 29 ის სხდომაზე რევკომმა მოიხმინა ქართველ მწერალთა შუამდგომლობა. კავშირი თხოულობს საორგანიზაციო საქმეებისა და დამსახურებულ ხელოვან მოღვაწეთათვის დახმარების აღმოჩენის საჭიროებისათვის 30 მილიონის მანეთის გადადებას. რევკომმა განათლების სახ. კომისარიატს ნებადართო დაკმაყოფილოს ხსენებულ კავშირის შუამდგომლობა მის განკარგულებაში არსებულ თანხიდან.

— **კომპოზიტორ ჩერკეზიშვილის წარგზავნა.** თანახმად განათლების სახ. კომისარიატის შუამდგომლობისა, რევკომმა დადგინა: კონსერვატორიის დირექტორ ჩერკეზიშვილს საზღვარგარეთ სამსახურის გამო წარგზავნებისათვის განათლების სახ. კომ. თანხიდან მიეცეს ნახევარ მილიონი მან.

— **ნავთის გადმოქაჩვა.** ივნისის 1 ბაქოდან ბათომში ნავთსადენით გადმოქაჩეს უცხოელებმა განსაკანი 200,900 ფუთი ნავთი.

— **ტყეში მომუშავეთა მიმართვა.** სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას საქართველოს რევკომის წინაშე, რათა მან სატყეო კომიტეტის განკარგულებისათვის ხელუხლებლივ შემოინახოს მანუფაქტურა ტყეა საქონელი. ამით უნდა იცოდეს დაკმაყოფილებული ყველა ის მეშები, ვინც შეშის დასამზადებლად მუშაობს.

— **ხაბჭოთა მოხამსახურეთა კავშირის კონფერენციაზე.** ივნისის 5 მუშათა სასახლეში, დილის 10 საათზე, მოწვეულია მოსამსახურეთა ადგილობრივი კომიტეტების კონფერენცია. დელეგატების არჩევნები ხდება თანახმად იმ ნორმისა, როგორც ეს გამომუშავებული და დაგზავნილი აქვს პროფკავშ. საბჭოს. გასარჩევია შემდეგი საკითხები: 1) გამგეობის მოხსენებების მოდვაწეობის შესახებ, 2) პროფკავშ. საბჭოს წარმომადგენლის საინფორმაციო ხასიათის მოხსენება საქართველოს მოფკავშ. მოწვეულ კრებების შესახებ, 3) პროფკავშ. კრებების დელეგატების არჩევნები და 4) მიმდინარე საკითხები.

კავშირის გამგეობა წინადადებას აძლევს ყველა იმ დაწესებულებათა ადგილობრივ კომიტეტებს, რომელთა ტარიფი დამტკიცებულია დაუყონებლივ, წარმოადგინონ ბერილის და მაისის საწევრო გარდასახადები 2 პროცენტის რაოდენობის გამოანგარიშებით და საწევრო შესასვლელი დღიურ ჯამაგირის ნახევრის ანგარიშის რაოდენობით. წინადადებაში შემთხვევაში კავშირის საორგანიზაციო მუშაობა მეტის-მეტად ფერხდება. გადასადის აკრეფა უნდა სწარმოებდეს ყოველთვის 10 რიცხვამდე, როგორც კი ჯამაგირები დარიგდება. აკრეფა უნდა სწარმოებდეს აგრეთვე საგანგებო საშეწყობო ფურცლის საშვალებით, რომელშიც უნდა აღინიშნოს გარდამხდელის სახელი, გვარი, თანამდებობა და ჯამაგირის რაოდენობა.

— **ხალხმწიფო-ხანრიმო განყოფილება** წინადადებას აძლევს ყველ ადგილობრივ შემფასებელ კომისიებს, რათა მათ ამის მიღებისათანავე გამოგზავნონ თავისი წარმომადგენლები ტარიფის გატარების საათანადო ინსტრუ-

ქციის მისაღებად. მათ თან უნდა წარმოადგინონ ყოველ გვარი საჭირო ცნობით შევსებული საკვალიფიკაციო უწყებებში.

— მიმოხვლა საქართველოსა და ყირიმის შუა. საქართველოს საგარეო ვაჭრობის კომისარიატი მოლაპარაკებას აწარმოებს მცხვილ საბერძნეთის გემების ფირმასთან—მანუილიდისთან, საქართველოს ნავთსადგურებსა და ყირიმს შორის გემების წესიერ მიმოსვლის მოსაწყობად, ახლო მომავალში დაიწყება ყირიმში მიმოსვლას გემი „ჯორჯია", რომელმაც უკვე ოთხი გზა გააკეთა ბათომსა და კონსტანტინოპოლს შუა. პირველ გზათ გემი „ჯორჯია" საგარეო ვაჭრობის კომისარიატის შეკვეთით ყირიძიდან ჩამოიტანს საქართველოსთვის საჭირო მარილს. გემი „ჯორჯია" მოწყობილია სამგზავრო მიმოსვლისთვისაც და ამიტომ მგზავრებსაც წაიყვანს ხოლმე ყირიმის და საქართველოს ყველა ნაუთსადგურებში.

— ამერიკის კომიტეტები. ახლო აღმოსავლეთში ამერიკის დამხმარე კომიტეტის მთავარი დირექტორი მოქ. ჰარიუ ივნისის 5 ბათომით გაემგზავრა საზღვარ-გარეთ.

— რევოლიუციონურ კომიტეტის წევრთა დაბრუნება. ივნისს 4, ბაქოდან დიბრუნდნენ ს. ს. ს. რ. რევკომის თავმჯდომარე ამხ. მახარაძე და ფინანსთა სახ. კომისარი ამხ. ნაზარეთიანი.

ხოციალური უზრუნველყოფა. ძველი ტანისამოსა და თეთრეულობის მისადგებად თხოვნების მიღება იწყება ივნისის 15-დან სოციალ-უზრუნველყოფის კომისარიატის ადგილობრივ.

ინტერნაციონალი

კომუნისტური მოძრაობა ლატვიაში.

რიგა. ლატვიიდან იტყობინებიან, ვოლქარის პროფესიონალურ კავშირების ყრილობის სხდომაზე კომუნისტთა გაძარცვების გამო სოციალ-დემოკრატები გამეგეთის მემარჯვენეებიდან გამოვიდნენ.

ერთი მხრიდან ომობენ, მეორე მხარიდან ვაჭრობენ.

მოსკოვი. მმროელ ციმბირში ვლადივოსტოკის და ხიკოლსკო უსურისკში თეთრგვარდიელებმა მოაწყვეს აჯახყება და ჩაიგდეს ხელისუფლება. თეთრგვარდიელები მოქმედე დაეს მცირე ჯგუფებთან და გაიძარცვეს ძხოლოდ იაპონიის ჯარის შეიარაღებულ დახმარებით. ეს ადგილები ექ�დებარებოდა შორეულ აღმოსავლეთს და ჯერ კიდევ დაკავებულია იაპონიის ძალოვნობის ჯარის მიერ. შეიარაღებული წინსვლა შორეულ აღმოსავლეთის კუნძულებზედ ბტაცებლებისა დიდი ხანია რაც ძხადდებოდა შორეულ აღმოსავლეთის რუსს კონტრეკოლიუციონერებთა შეთანხმებით; ძველ ამოქმედს მთავარი საბუთები, გამოქვეყნებული გაზეთ შორეულ აღმოსავლეთის სიძართლეში ტოკიოდან საცხედრო სამინისტროს საიდუმლო ბრძანებაში ივნისს 12-დან 1920 წლ. ვლადივოსტოკში ციმბირის არმიის სარდლის სახელზე ნათქვამია: „ჩვენი ინტერესები მოითხოვს შეტევის საძზადასს ბლაგოვეშჩენსკზე. იაპონიის საიმპერატორო მთავრობის ინტერესი მოითხოვს რათა ოკუპაცია საწყოფოთ იქმნეს გატარებული ძალანათ. იაპონიის მთავრობის ბრძანებაში 314 დივიზიის უფროსის სახელობაზე არის შეძუშავებული საინიმუშო გეგმა ბლაგოვეშჩენსკზე შეტევისა. შემდეგ მოსდგა ბიგი საბუთებისა, რომლებიც ახასიათებენ რუსს კონტრრევოლიუციონერ გამყიდველთა მონაწილეობას იაპონიის მტაცებლობითი გეგმაში. იაპონიის მთავრობა შეიარაღებულ რეთრგვარდიელთა ბრძოლ სემიონოვ კოპელ-უნგერნის შემწეობით ჩინეთისა და მონგოლეთის საზღვრებიდან ამ ზადებენ საბჭოთა თუსეთის რესპუბლიკაში შეპრას. ყველა ჩვენს საიდუმლო წინადადებაზე იაპონია უარს ამბობს. ყველა მოკავშირე სახელმწიფოები განსაკუთრებით საფრანგეთი, მონაწილეობას იღებენ ამ საქმეში და აქებენ იაპონიის კაპიტალისტთა მტაცებლობის გეგმას. ყველამ ვიცით, რომ საფრანგეთის მთავრობა იმუშავებდა გეგმას ვრანგელის ჯარის ნაშთის შორეულ აღმოსავლეთში გადასაგზავნათ ადგილობრივ თეთრ გვარდიელთა გასაძლიერებლათ. შორეულ აღმოსავლეთის ამბები გვიჩვენებენ თუ რამდენათ ნაადრევია ფიქრი საბოლოო მშვიდობიანობისაკენ დამყარებისა. ერთი მხრივ საზღვარგარეთული კაპიტალისტები გვიგზავნიან ჩვენ სელიოტკებით და სხვა საქონლით დატვირთულ გემებს, მეორე მხრიდან კი ჩვენ წინააღმდეგ ჰგზავნიან თეთრ-გვარდიელებს ტყვიის-ფრქვეველებით და ზარბაზნებით. მეიდრო კავშირი მუშაგლეხთა ესლა უფრო საჭიროა ვიდრე როდესმ, არამც თუ მედგრად ერთგულ და შეთანხმებულ მუშაობისათვის, მშვიდობიან ადმშენებლობისათვის, არამედ გარეშე მტრისაგან გადამწყვეტ დაცდასხმისათვის.

კომინტერნის მესამე კონგრესი.

მოსკოვი, ივნისის 4. კომინტერნის მესამე კონგრესი მეტად მრავალ რიცხოვანი იქნება. ყველა ხხრიდან მოდიან ჯელეგატები, რომელთა რიცხვი გვიჩვენებს, თუ რამდენად მორს წავიდა კომუნისტური გაელვნის ტალღა. მესამე ყრილობა შეუდგება კონკრეტიულ კითხვათა დაწვრილებით განხილვას სხვა და სხვა ქვეყნებში არსებულ გამოცდილების საფუძველზე. მესამე კონგრესი იქნება მთელი ქვეყნის უდიდეს საქმიან კონგრესად კომუნისტური პროლეტარიატისა. მის მუშაობას თვალყურს ადევნებს მთელი ქვეყნიერება, რიგორც მტერი, ისეთვე მოყვარე. დეე რუსის მუშებმა ჰკოვნ მასში ცხოვრების ძლიერ ბრძოლას საყრდნობი წერტილი. ვიმეორებ რუსის მუშამ და არა სხვამ ვინმემ გადალ კარი თავისი მოძეთათვის, რომელიც იკირფებიან სამხედრო თათბირზე მთელი ქვეყნის კაპიტალის წინააღმდეგ.

ნორვეგიაში გაფიცვა გრძელდება

ქრისტიანია 2 6. ნორვეგიაში ძველ მოძრაობა უცვლელია. იმართება მიტინგები. ხოგიერთ მიტინგზე გამოტანილია რეზოლიუციები რომელიც საერთო გაფიცვას ითხოვს.

ავსტრიის კომუნისტური პარტიის კონგრესი

ქრისტიანია 2 6. ავსტრიიდან მოსული ცნობის მიხედვით მარტის 7 მოხდება კომუნისტური პარტიის ულიერი კონგრესი, რომელზედაც ავსტრიის ყველა კუთხის დელეგატები დაესწრნენ. კონგრესზე ძველი ალაბრულებელი კომიტეტის ბაგიერ ახალი ამოირჩია. ავსტრიის ფედერალიონალურ კავშირთ, მოსკოვში ინტერნაციონალურ კონგრესზე დელეგატების გაგზავნა სურს ეძლევათ. დელეგატები შკვე გამოვიდნენ.

ავსტრიის კაბინეტის კრიზისი

ჰანსოკერი. 2 6. ავსტრიის კაბინეტი გადადგომას მოითხოვს. ამის საბაბათ უნდა ჩაითვალოს ანტანტის წინააღმდეგობა ზალცუბგის გერმანიასთან შეერთების საკითხი.

ბერლინი.

გაზ. „ირულის" კორესპონდენტი იტყობინება ბალტიის მხარის სახელმწიფოთა მოლაპარაკება ბლოკის შეკვრაა შესახებ კარგათ ძიმდინარეობს. ივნისის 4 რიგაში გახსნილ კონფერენციაზე, მოსალოდნელია ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა. კორესპონდენტი იტყობინება, რომ კონფერენციაში ფინლანდიის მონაწილეობის მიღების საკითხით არ ყოფილა გადაწყვეტილი.

შეიდმანის მოსაზრეები საჭირონი არ ყოფილან.

ბერლინი 1 6. რეიხსტაგთან ერთად პოლონეთის ლანტაგის სხდომები განახლდა. შტაგერ-ვალდეს მთავრობა დარჩა.

ამერიკა მადაზე მოდის.

რიგა. ივნისი 2. შეეთანგულ შტატების მინისტრებმა ხიუზმა და ხუვერმა სენატში პროექტი წარადგინეს ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ. სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ ეს პროექტი უარჰყო. ესლა ხიუზი იმუშავებს პროექტს, რომელის ძალით ის ფიქრობს ვერსალის ხელშეკრულებაში მთელი რიგი ცვლილების შეტანას რომელ თანახმათ ამერიკა წილს იღებს გერმანიისაგან ჩამორთმეულ ახალშენებში და კაბელებში. ამერიკა მოითხოვს, რომ გერმანიამ უარი განაცხადოს ამერიკაში გერმანელებისაგან ჩამორთმეულ ქონების დაბრუნებაზე.

იაპონელ იმპერიალისტების გაუმაძღრობა.

რიგა, ივნისის 2. ტოკიოდან მიღებულ ცნობებით ვლადივოსტოკში მყოფ იაპონელ ჯარის უფროს კუმურას გადაუწყვეტია ივნისის განმავლობაში ციმბირის სხვა და სხვა ქალაქებში გაგზავნოს იაპონელ ჯარის ნაწილები. შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის მთავრობამ ამისა გამო სასტიკი პროტესტი განაცხადა.

ბრიტანეთის ესკადრის მანევრები.

მოსკოვი. ივნისის 2. ბრიტანეთის ესკადრას ნაბრძანები აქვს რათა მან კიპრისა, სმირნისა და სტამბოლის ახლო მდებარე წყლებზე მანევრები დაიწყოს.

წიგნი რუსეთზე.

ბ.ითმა, ივნისს 2. ლონდონში გამოვიდა თეთრი წიგნი, რომელიც შეიცავს მთავრობის კომისიის შრომის ანგარიშს, რუსეთის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. ამ წიგნის ძირითადი აზრი ისაა, რომ რუსეთის ეკონომიური ცხოვრების ადდგენა შეიძლება, მხოლოდ ევროპის კაპიტალის კერძო ინიციატივის საშუალებით.

რანგელი *)

ჩემს განცხადებას გაზ. „სოც.-ფედ"-ში (№ 54),—რომ ბ. ასათიანი თითონ კი არ გასულა პარტიიდან, რამედ იგი ორგანიზაციიდან გაძეკეა ახალგაზრდა სოც.-ფედ. კავშირის გამგეობამ, ხოლო შემდეგ ეს დადგენილება დაადასტურა ს. ს. საზოგადო კრებამ, მეტად გაუცხარებია ყოფილი თავმჯდომარე ს. გამგეობისა და იგი ნოკლებული ყოველგვარ თავის გასამართლებელ საბუთს, შემვერი ლანძღვა-გინებით ეძასპინძლდება ჩემთან ერთად, როგორც სტუდენტთა-საზოგადო კრებას, ისე მთელ პარტიას.

მაშ რით, თუ არ წინანდელ ამბანაგების ტალახში ამოსვრა დაუმტკიცებს ახალ „ხაზეინებს" თავის ერთგულებას ახლად გამომცხვარი კომუნისტი? ასეთი ყოფილა გზა რენეგატებისა წარსულში და ამ საერთო წესს ვერც ასათიანი ეღალატება.

წერილით, რომელსაც აქვს „რიხიანი" სათაური „ამბაურდენ", ბ. ასათიანს შეიძლება მართლაც რაიმე მოსაზრებით სურდეს შექმნას ხმაური თავის გარშემო, მაგრამ ვარწმუნებთ, რომ არავითარი სურვილი არ გვაქვს „წინასწარი ინტრიგით მოვზხამოთ და გზა აუბნიოთ რადიკალურად დაწყობილ სტუდენტობას. რა შუაშია აქ ინტრიგა სტუდენტობის მოზხამვა და სხვ. ასეთი. არავითარი სამაგისო არ მომხდარა. იყავ ერთი მორიგი წევრი (და არასოდეს ლიდერი) სოც.-ფედ. პარტიისა; მემდეგ თქვენმა უტაქტო მოქმედებამ აიძულა ამხანაგები პარტიის სიწმინდისათვის გაეძევებინეთ და კიდეც გაგაძევეთ. თქვენ გინდოდათ ისე მოგეჩვენებინეთ თავი საზოგადოებისათვის, თითქოს თითონ გადით პარტიიდან, მაგრამ სიმართლის აღსადგენათ, როგორც კრების თავმჯდომარემ ადნიშნე, რომ კი არ წასულხართ, გაგაძევეთ. რა შუაშია აქ საერთაშორისო ომისგან გამოწვეული საერთო ეკონომიური პოლიტიკური კატასტროფა ან რუსეთის ოქტომბრის რევოლიუცია, რომელიც თქვენის სიტყვით თქვენ მიგაჩნდათ ერთად ერთ ნამდვილ ყველა ქვეყნის მშრომელთა გამათავისუფლებელ რევოლიუციად?

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ საკმაო დრომ განვლო. თქვენს განკარგულებაში ძალიან ბევრი დრო იყო მოფიქრებისა და გაკომუნისტებისათვის. რადა მაინცა და მაინც თქვენი გაძევება და მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადასვლა ასე მჭიდროთ უკავშირდება ერთიმეორეს?

თქვენ რომ თქვენი დიდი ხნის კომუნისტობა დაამტკიცოთ, უარყოფთ თქვენსავე სიტყვებს და ამბობთ, რომ სტუდენტთა საერთო კრებაზე არ მიგიმართავთ სტუდენტობისათვის მოწოდებით ჯარში ჩაწერილიყვნენ. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ნამუსიც კარგი საწონელია. ამის მოშმე ხომ ორი ან სამი სტუდენტი არ არის, არამედ მთელი საზოგადო კრება და ამდენი მოწმენი მგონი რომ საკმარისი იქნებიან სიმართლის აღსადგენათ. გინდოდათ სხვისი ხელით ეგზალ ჯათ ნარი, კარზედ მიმდგარი მტერი სხვას გაებრუნებია. მაგრამ თქვენისთანა ცხოველური შიშით შეპყრობილი დეზერტირების წყალობით ჩვენი ძალები სუსტნი აღმოჩნდნენ მტერთან ბრძოლაში და დავმარცხდით. დამარცხებულთა ბანაკში ყოფნა არც თუ საზარბიელოა პრაქტიკულის თვალსაზრისით და რომ თქვენი დეზერტირობა გაგემართლებინეთ ფრონტიდან დაბრუნებულ ამხანაგების თვალში ოქტომბრის რევოლიუციას ჩაებღაუქეთ. ეი, სრული შეუსაბამობა თქვენი საქციელისა და აქედან გამომდინარე ულოდიკო გამოსვლები სტუდ. საზოგადო კრებებზედ. ეი მიზეზი გაძევებისა, რომლითაც საზოგადოთ კრებამ ისელმძღვანელა.

თუ თქვენ გინტერესებთ კერძოთ ჩემი აზრი თქვენს შესახებ, მე, როგორც ... ...